პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №

ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი; საკადასტრო კოდი №03.04.25.523) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ერემეიშვილი